

1 ორჯონიკიძის ქუჩა N7: საცხოვრებელი სახლი

ორჯონიკიძის ქუჩა N7-ში მდებარე ორსართულიანი სახლი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აშენებული. პირველ სართულზე ფასადის ორივე მხარეს მოწყობა აიგანი, რომლის არც იატაკი და არც მოაჯირი აღარ არის შემორჩენილი. შენობის ორფერდა სახურავზე შემორჩენილია პირვანდელი კრამიტი. სარდაფი შედგება ორი ოთახისგან, რომლებიც განლაგებულია სხვადასხვა დონეზე. ქვის კიბით ერთი მხრიდან სათავსოში შედიხართ, მეორე მხრიდან კი ქვემოთ. ქვის კამაროვანი გადახურვის მქონე მარანში აღმოჩნდებით.

2 საზოგადოებრივი პარკი "Lustgarten"-ი

საზოგადოებრივ პარკს, რომელიც შვაბენშტრასეს დასაწყისში მდებარეობს, ელიზბეტთაბიძის პარკი უწოდეს. პარკის შესასვლელი კარის აღდგენა-რესტავრაცია განხორციელდა ცენტრალურ საისტორიო არქივში დაკული მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის მიხედვით, რომელიც 1939 წელს ამ პარკშია გადაღებული. თავდაპირველად პარკში მოწყობილი იყო შადრევანი და საცეკვაო მოედანი, იდგა მრავალწლოვანი ხეები, დეკორატიული ბუჩქები და ყვავილები. აქვე იყო ადგილობრივი ვაზებისგან გაკეთებული ხეივანიც. პარკი დიდი ხანია ძველებურად აღარ გამოიყურება, თუმცა სოფელი მის გაუმჯობესებას უახლოეს მომავალში აპირებს.

3 შვაბენშტრასე N15: ქ-ნ დირკის საცხოვრებელი სახლი

დიდებული ორსართულიანი სახლი შვაბენშტრასეს N15-ში, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აშენდა, ოდესღაც ირმა დირკს ეკუთვნოდა. შენობა ძალიან განსხვავდება ქუჩის დანარჩენი სახლებისგან. ასურეთში ეს არის ერთადერთი გერმანული სახლი ოთხფერდა კირვისგან და პირვანდელი ტრაპეციის ფორმის ფახვერკული ფრონტონით. შინის სართულის მარცხენა ნახევარი და პირველი სართული საცხოვრებელი იყო, მარჯვენა მხარეს კი სარდაფად იყენებდნენ. სივრცელ სართულზე ქუჩისკენ მიმართულ ფასადს მთელ სიგრძეზე მიუყვება აივანი, რომლის რესტავრაცია 2020 წელს განხორციელდა. ორ დონეზე მოწყობილია მარანმა დღემდე თავდაპირველი სახე შეინარჩუნა. ასევე პირვანდელია კრამიტებიც. 2002 წელს, ეს სახლი შეიძინა ბერლინიდან ჩამოსულმა გერმანელმა მანფრედ ტიხონოვმა, რომელიც დღემდე აქ ცხოვრობს, ეწევა მეცნიერებასა და სხვადასხვა სახის სამეურნეო და სამეცნიერო საქმიანობას. სახლს მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

4 შვაბენშტრასე N8: საცხოვრებელი სახლი

ერთსართულიანი სახლი შვაბენშტრასე N8-ში აშენდა მე-19 საუკუნის შუა ხანებში. ფასადის მთელ სიგრძეზე გადჭიმულია ხის აივანი, რომელიც ახლა გაფართოებულია და თავდაპირველი სახე დაკარგული აქვს. სახურავის ფრონტონები აგებულია ფახვერკის სტილით. სახლის მთელი ფართობის ქვეშ მდებარეობს სარდაფი ძველი მასური ხის კარითა და პირვანდელი საკეტი. სახლი გადახურულია მაღალი, ორფერდა სახურავით, რამაც კერ კიდევ დიდი რაოდენობით არის შემორჩენილი ძველი კრამიტი.

5 შვაბენშტრასე N19: საცხოვრებელი სახლი

ორსართულიანი სახლი შვაბენშტრასეს N19-ში აშენდა მე-19 საუკუნის შუა წლებში. პირველი სართული, სადაც მარანი იყო განთავსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა, საცხოვრებელი ოთახები კი მეორე სართულზე იყო განლაგებული. სახლს ორი შესასვლელი აქვს: ერთი ქუჩიდან, მეორე - ეზოს მხრიდან. ორივე ფასადს რიკულებიანი მოაჯირების მქონე ხის აივანი გასდევს; კიდევ ერთი აივანი ფრონტონზე, რომელსაც უბრალო, შეფცურული მოჯირი აქვს. ფანჯრების დარბაზები პირვანდელია და სახურავზეც ძველი კრამიტია შენარჩუნებული.

6 ელიზბეტთაბიძის ევანგელურ-ლუთერული ეკლესია

ელიზბეტთაბიძის ევანგელურ-ლუთერული ეკლესია მდებარეობს შვაბენშტრასეს შუაში. მის ადგილას, ადრე, შედარებით პატარა ეკლესია იდგა, რომელიც, რაც დრო გადიოდა, ველარ იტეკდა სწრაფად მზარდ მრევლს. 1868 წელს გერმანელები ეკონომიკურად უკვე იმდენად მოძლიერდნენ, რომ საკუთარი ფინანსური სახსრებითა და მოაჯირის მხარდაჭერით შეძლეს ახალი ეკლესიის აშენება, რომლის პროექტიც შეადგინა არქიტექტორმა ალბერტ ზალცმანმა (1833-1897). ახალი ეკლესია გაიხსნა 1871 წელს. 1930-იან წლებში ბოლშევიკებმა ეკლესია ჯერ კულტურის ცენტრად გადააქციეს, მერე კი თეატრად, მაღალი სამრეკლო მონარქის და დამატებითი სათავსოები მიაშენეს. 2019 წელს ის სახელმწიფო ხარჯებით აღადგინეს და პირვანდელი სახე დაუბრუნეს. ეკლესიას მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

7 შვაბენშტრასე N68: საცხოვრებელი სახლი

სახლი შვაბენშტრასეს N68-ში წარმოადგენს ორსართულიან შენობას. იგი აშენებულია მე-19 საუკუნის შუა ხანებში. ზედა სართულზე საცხოვრებელი ფართია, შინის სართულზე კი პირვანდელ მდგომარეობაში შემორჩენილი ღვინის მარანი განთავსებული. პირველი სართულის ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს ქვის სვეტებზე დაყრდნობილი აივანი, რომელსაც რიკულებიანი მოაჯირი ამშვენებს. სახლის ორივე ფრონტონი შესრულებულია ფახვერკული კონსტრუქციით. მაღალ, ორფერდა სახურავზე პირვანდელი კრამიტია შემორჩენილი. შინის ნაკვეთს აკრავს ქვის სვეტების მქონე ფიცრული ღობე. ერთ-ერთ სვეტზე ამოკვეთილია ექვსფერკლიანი ყვავილი - სიცოცხლის და მარადიულობის უძველესი სიმბოლო, რომელიც ძალიან პოპულარული იყო საქართველოში მცხოვრებ გერმანელებში. სახლს მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

8 შვაბენშტრასე N79: საცხოვრებელი სახლი

ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი შვაბენშტრასეს N79-ში აშენდა მე-19 საუკუნის შუა წლებში და დღესაც თითქმის პირვანდელი სახით არის შემორჩენილი. შინის სართულზე განლაგებულია ღვინის მარანი და საკუჭნაო, ზედა სართული კი გამოიყენება საცხოვრებლად. ეზოს მხარეს მიმართულ ფასადს მთელ სიგრძეზე მოწყობა ხის ვიწრო აივანი. ფრონტონები ფახვერკის სტილითაა შესრულებული. მაღალი სახურავი კვლავაც ძველი კრამიტითაა დაფარული. სახლს ქუჩის მხარეს აკრავს ტრადიციული გერმანული ღობე - საგულდაგულოდ დამუშავებული, სუფთად თლილი ქვის განივი სვეტები თანაბრად არის ერთმანეთისგან დაშორებული, რომელთა შორის ხის ვიწრო ფიცრები განლაგებული. ერთ-ერთ სვეტზე ამოტივფრულია ექვსფერკლიანი ყვავილი - სიცოცხლის სიმბოლო. ანალოგიური რელიეფი შინის გერმანელი მფლობელის ძეგლის ქვებზეც. სახლს მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

ელიზბეტთაბიძის ასურეთი

შემოთავაზებული გასეირნება ელიზბეტთაბიძის რუკაზე მოცემული პირველიდან მეთხუთმეტე ადგილის ჩათვლით, დაახლოებით ორიდან სამ საათამდე გრელდება და მოიცავს გერმანული დასახლებების როგორც ისტორიული, ისე კულტურული და არქიტექტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ადგილებს. წარმოდგენილი შენობების მნიშვნელოვანი ნაწილი შეტანილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ადგილზე, სახლის კედლებზე განთავსებულ დაფებზე. უფრო მეტის ნახვის სურვილის შემთხვევაში კი, მაგალითად, ინტერიერის სანახავად, საჭიროა წინასწარი შეთანხმება ტურების დაჯავშნის დროს, ან სტუმართმოყვარე მასპინძლების მოწვევა.

მამუკა რამინაშვილის სასტუმრო
მამუკა რამინაშვილის სასტუმროში სტუმრებს შეუძლიათ ღამეც გაათიან და გერმანული კერძები და ადგილობრივი ღვინო მიირთვან. მისამართი: შვაბენშტრასე N23
ტელეფონი: +995 595226700

ჯულიეტა დარჯანიას სასტუმრო
სასტუმროს მფლობელი ვთავაზობთ ღვინის დეგუსტაციას და ადგილობრივ კერძებს, მოთხოვნის შემთხვევაში კი - პერსონალურ ტურებს რეგიონში. მისამართი: ილია ჭავჭავაძის ქ. N24
ტელეფონი: +995 577954717

ტავერნა "მანფრედ ტიხონოვი"
მანფრედ ტიხონოვის ტავერნაში თქვენ დაგემოვნებთ როგორც ადგილობრივ მალაღინებს, ისე ადგილობრივ კერძებს, რომელიც შეკვეთა შეგიძლიათ წინასწარ მისამართი: შვაბენშტრასე N15
ტელეფონი: +995 59973975

10 გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N13: საცხოვრებელი სახლი

გალაკტიონ ტაბიძის N13-ში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი 1850-იან წლებში აშენდა. დახრილი რელიეფის გამო სახლი ქუჩის მხარეს ერთსართულიანია. შინის ზედა სართული საცხოვრებელ სივრცეს წარმოადგენს, რომლის ქვეშ ღვინის მარანი განთავსებული. პირველ სართულზე, ეზოს მხარეს მიმართულ ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს ხის აივანი, რომელიც ქვის ერთ სწორკუთხა სვეტს ეყრდნობა. მაღალი სახურავის ორივე ფრონტონი ფახვერკით არის აგებული. აღსანიშნავია, რომ საქართველოში გერმანული სახლების ფახვერკულ ფრონტონებს უმეტესად ერთმანეთის მსგავსი კომპოზიცია აქვს. ამ სახლის ფახვერკი კი საგრძობლად განსხვავდება სხვა გერმანული სახლებისგან და მას მხოლოდ რამდენიმე ანალოგი თუ მოექმდნება საქართველოში. კრამიტები დღემდე პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. სარდაფი გაყოფილია ორ ნაწილად: ერთ მათგანს ქვის კამარა აქვს, მეორე კი ხის მძლავრი კოჭებით არის გადახურული.

9 აბანო

1933 წელს, საბჭოთა პერიოდში, სოფელში აშენდა აბანო, რომელიც ფუნქციონირებდა ტყიდან მიღებით გამოყვანილი გოგირდოვანი წყლით. შემდეგ წყალს ადგილზე, სააბაზანოში აცხლებდნენ. აბანო წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას, რომლის ინტერიერი მოზაიკითაა მოპირკეთებული. სააბაზანოს ეკუთვნოდა სამკიხველო ოთახიც. საბჭოთა კავშირის დამხრის შემდეგ ის კერძო საკუთრებაში გადავიდა და დღემდე "შიძინებულ მდგომარეობაშია". აბანოს მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

